

| გ ა ზ ე თ ი ლ ი რ ს | | | |
|---------------------|---------|-----|---------|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 | 10 | 6 | 6 |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაურბი

ივერი

გაზეთის დასაკვეთად და გერო განცხადებას დასაკვეთად უნდა მივმართოთ: თეოდორ რედაქციას, კუთვნილი, ავტორის ქუჩაზე, ვარანგოვი ქუჩის პირდაპირ, თავისი კონსტანტინე ლეშაძის; წერა-კითხვის განყოფილებაში და ლეშაძის განყოფილებაში, სადაც დასაკვეთად დასაკვეთად, სასაქონლო განყოფილებაში, თვისი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კუპონი.

1877—1892 საზოგადოებრივი და სალიტერატურული გაზეთი 1877—1892

მფროსნი მაინოსროს ასული კლდიაშვილისა სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ კვირას, 29 ნოემბერს, ქუთაისის წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიაში (სილაზე), საცა წირვის შემდეგ გარდახდის იქნება პანაშვიდი მეორმოცე დღის გარდაცვალებულის საყვარელის მისის ძმის **დავით მაინოსროს ძის შიშინის** სულის მოსახსენებლად.

(1—1)

საქმისწილი სურათებიანი ჟურნალი

„ქეჟილი“

(ქოთხე ჟურნალი)

გამოვა 1893 წელსაც, ორ თვეში ერთხელ, იმავე პრინციპით, როგორც აქამდე.

ქურნალი „ჯეჟილი“ ტფილისში დატარებით ედირება 3 მან., ტფილისს გარეშე გაზავნით 4 მან.

ხელის მოწერა შეიძლება:

- 1) ტფილისში — წერა-კითხვის საზოგადოების „კანცელარიაში“ (Дворцовая ул. д. зем. банка № 125.), ქართულ სახალხო ბიბლიოთეკაში. ქართველთა ამხანაგობის წიგნის მადანიაში და თვით „ჯეჟილის რედაქციაში“ (Красногорская ул. д. Назарова № 7.)
- 2) ქუთაისში — ან. ბაქრაძისას.
- 3) გორში — ეგ. ფურცელაძისას.
- 4) ბათუმში — მ. ნიკოლაძის განუთის სააგენტოში.
- 5) საჩხერეში — ყარაძან ჩხეიძისას.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго Дѣтскаго Журнала „Джеджили.“

რედაქტორი გამოცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

ახალი ამბავი

*** ორშაბათს, 30 ნოემბერს, შესრულდება 75 წელი მას აქეთ, რაც ტფილისის სასულიერო სემინარია დაარსდა. ამ დღეს ტფილისის სემინარია ღირსეულად იღვწის წირვის შემდეგ გარდახდის იქნება პანაშვიდი სულის მოსახსენებლად: განსვენე-

ველეტონი

უხსოთა შორის

შვეიცარია. — ბუნება. — მინდვრად. — შვეიცარიულ გლეხის სახლი. — სამზარეულო. — სამუშაო ოთახი. — სასტუმრო. — თჯახის სალარო. — „grand livre“. — ჩაცმა-დახურვა. — მოგზაურობა. — ჩემი ოცნება. —

დღეს შვეიცარიაში გადავიხედათ. თოვლიან-ყინულიან მთის წვერიდან გამოჩნდა ამომავალი მზე და მსწრაფლ მოაშინა მთელს არე-მარეს ბრწყინვალე სხივნი. მთიდგან გადმოსჩქვს ჩანჩქარით ანკარა წყარო, მარდდ ჩამორბის ძირს, მწვანე მდელით და აქ წყარის ბუტბუტით მიიკლანება, ვიდრე მიადწევს მშვიდს, დარბისელს მდინარეს, რომელიც, კარგად იცის ეს პაწია წყარომ, დედასავით გადახვევა, დაპოკინის საყვარელს შვილსა და მკერდზედ მიიკრავს. გრილი, მთის ნიავე ჰბერს. მინდორს მოეფინა შვეიცარიის სოფლის გლეხობა და შეუდგა მკას. ყველა მხრიდან მოისმის ხუმრობა, ოხუჯობა და ქალების კასკასი. მამაკაცი მხნედ მუშაობენ. დასცხათ.

წაულო წირვა სემინარიის ეკლესიაში. ნაშუადღევს 1 საათზედ სემინარიის დარბაზში მოხდებოდა აქტი. აქტის დროს წაკითხულ იქნება სხვათა შორის ანგარიში ტფილისის სემინარიაში სწავლა-განათლების საქმისა 75 წლის განმავლობაში და აგრეთვე ანგარიში წმ. ანდრია პირველ წოდებულის სახელობაზედ დაარსებულ დარბაზში მოწაფეთა დამხმარებელ ამხანაგობისა.

*** გუშინ-წინ, 26 ნოემბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში თავდა-აზნაურობის კერძო კრება იყო კახეთის რკინის გზის შესახებ. კრებას დაესწრნენ 50-მდე მიწვეულნი გავლენიანი და საქმის მკოდნე კაცნი. სხვათა შორის, კრებაზედ ბრძანდებოდა გზათა სამინისტროს წარმომადგენელი კავკასიაში სკომერციო აგენტი ბ. ნი რადცივი. ბ. ნი რადცივის დაუვლია ის ადგილები, საცა კახეთის და შემხიის რკინის გზათა შტოებმა უნდა გაიაროს, გამოუანგარიშნა, რამდენი ფულია საჭირო ამ შტოთა გასაყენად, ან რამდენს შემოსავალს შემოიტანს ეს გზები და იქ რა დაუქანია: რაც უნდა მეტი იანგარიშოთ ამ გზების გასაკეთებლად ხარჯი და მცირედ შემოსავალი, მაშინაც-კი სახეირო და დიდად მოსაგები იქნება მაგ გზების გაყენა თავდა-აზნაურობისათვისაო.

კრებამ ამის შესახებ ბევრი ითათბირა და ბოლოს ასე გადაწყვიტა ერთხმად: სასურველია მოწვეულ იქნას მაგ საგნის განსახილველად საგანგებო კრება ტფილისის

უღალავად შრომობს და ძლიერ გვიანაც იძინებს. ერთს საათს არ დარჩება უსაქმოდ, მაგრამ ეს საქმე არა ჰალავს; მოსწყინდება ერთი საქმე, ახლა მეორეს მოჰქიდებს ხელსა. ასე შრომობს მთელს დღეს. ნეტა რა აძლევს ასეთს ძალ-ღონეს ადამიანსაო, იფიქრებთ. შვეიცარიელი გეტყვით: ჩვენი მთის ჰავაო, რის გამოც დიდად ჯან-საღებო ვართო. ესეც მართალია, მაგრამ გამუდმებულს შრომას უფრო რამ რიგიანის ცხოვრებისა და ფუფუნების სურვილი აძლევს ბუნებას შვეიცარიელს. რიგიანად მოწყობილი სახლი, სუფთა ტანთსაცმელი და საცვალო, კარგი სასმელი და საცვალო, ყველა უამისოდ შვეიცარიელი ისე ვერ გასძლებს, როგორც თვეზი უწყლოდ.

საქმე-დღეს, მინდორში, სახლში, ყველგან სუფთადა და რიგიანად ჩაცმულია შვეიცარიის გლეხი. შვეიცარიელი ქალები-კი, განსაკუთრებით გასათხოვარნი, მუდამ ისე არიან მოპრანქულნი, თითქოს ქორწინებისთვის იყოს ჩაცმულ-დახურულიო. გასათხოვარ ქალს მუდამ „კარსტე“ აცვია, თმა კობტად აქვს გადავარცხნილი და მინდორში მუშაობის დროსაც-კი თავზედ „შლიაპა“ ჰხუ-

გუბერნიის თავდა-აზნაუროთა ამ ორკვირის განმავლობაშიო. საგანგებო კრებამ უნდა გადაწყვიტოს კახეთის და შემხიის რკინის გზის შტოთა გაყენა ითავოს თუ არა თავდა-აზნაურობამ. ხოლო წინდაწინ გამოსაკვლევედ იმ ადგილებისა, სადაც უნდა გაიაროს ზემოდ მოხსენებულ რკინის გზის შტოებმა, გეგმის შესადგენად და სხვა საქმეო ცნობის შესაკრებად ამავე კრებამ სასურველია გადასდოს სახარჯო ფული და მიანდოს ტფილისის გუბერნიის თავდა-აზნაურობის წინამძღოლს, მომავალ წლის ივნისის თვეს მაინც მოახეზოს შუამდგომლობა გასწიოს მთავრობის წინაშე და თხოვნა მიართვას, საცა ჯერ არს, საქართველოს თავდა-აზნაურობის სახელით, რომ კახეთისა და შემხიის რკინის გზათა გამართვა მიენდოს თავდა-აზნაურობას. რაც შეეხება იმას, ვითომ ბ. ნი რადცივისა და მეღვინოს მიელოთ კიდევ ამ გზათა გაყენის უფლება, ეს ამავე მართალი არ გამოდგა, რადგანაც 1893 წლის დამლევამდე უმალესი მთავრობა ამ გზათა გაყენის უფლებას არავის დაუმტკიცებს და მხოლოდ მაშინ მიანდოს იმას, ვინც უკეთესს პირობას წარუდგენს და უფრო სანდო იქნება ამ დიდის საქმის გაძღოლისათვის.

*** ფინანსთა სამინისტროს განკარგულებით მომავალ 1893 წლის 1 იანვრიდან მთელს რუსეთის სახელმწიფოში სრულიად მოისპობა დახვერტელ ვერცხლის ფულის ხმა-რება.

*** გუშინ, 27 ნოემბერს, ტფი-

რავს. სულ დარბაზს ქალსაც-კი უეკველად ორი „შლიაპა“ აქვს, ერთი — „pour la semaine“, და მეორე — „pour le dimanche“, ე. ი. ერთი — საქმის დღისთვისა და მეორე კვირათქმისთვის. აბრეშუმისა, ხავრდისა, ატლასისა და სხვა ამ გვარი ტანისამოსი შვეიცარიაში იშვიათი არ არის.

შვეიცარიელი გლეხი რომ ჰნახოთ ეკლესიაში სუფთა ტანისამოსითა და თოვლსავით თეთრ გახამებულ პერანგით გამოწყობილი, უეკველად საათითა და გულზედ ოქროს ძეძვე-ჩამოკიდებული, ან კიდევ სადილად, როცა ხორცსა, მწვანისს, ყველსა და ღვინოს შეეჭკევა, თავის დღეში არ იტყვიო, ეს უბრალო გლეხიო და უეკველად დიდის ფულის პატრონი და განათლებული კაცი. გეგონებოთ, იმდენად არა ჰგავს მშრომელს გლეხსა ტანთ-საცმელითა და სახლის მოწყობილობით.

*** შვეიცარიელს ძლიერ უყვარს სამშობლო, თავისი თოვლიან-ყინულიანი სალი კლდენი, მწვანე მინდორ-ველნი, მდინარენი, ტყე, ვენახი, მაგრამ ყველაზედ მომეტებული უყვარს საკუთარი სასადა. მამა-პაპულ სახლის მიტოვება და ახალ სახლში გადასე-

ლისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე გ. იზმიროვისა იმის შესახებ, რომ სასამართლოში უარი განაცხადა, რუსულ ენაზედ არ დავიფიცებო. ოლქის სასამართლომ ამ უარისათვის იზმიროვი დამნაშავედ აღიარა და ორი კვირით დაპატიმრება გარდაუწყვიტა. იზმიროვიმ საკუსაციო საჩივარი შეიტანა სამოსამართლო პალატაში. გუშინ სამოსამართლო პალატამ ეს საჩივარი გაარჩია, არ შეიწყნარა და ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება დაამტკიცა.

*** ჩვენ მივიღეთ ქუთაისიდან 9 მან. ბ. ნ. თ. ჟორდანის „სასტორიო ქრონიკების“ დასაკვეთად ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელ ივ. მ. რატუშვილისა, თ. ა. მთავრიშვილისა და ს. ნ. დათვიძისათვის. ამ ფულისა გვექონდა 142 მ., შესდგა სულ 151 მან.

*** ბათუმი: 23 ნოემბერს წინაღობა აქ შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა. ხელოსანი პეტრე კოსტომაროვი ბათუმიდან დროებით ტფილისს წავიდა და მთელი თავისი ოჯახი ბათუმს დასტოვა. კოსტომაროვის სახლობაში ყველა კარგად იყო. ცოტა ხანს შემდეგ ავად გახდა კოსტომაროვის 10 თვის ბავშვი და გარდაიცვალა კიდევ. მკურნალობა შეამოწმა და სთქვა, ბავშვი ციებ-ციხელებით იყო ავადო. ყმაწვილი დასაფლავეს. ცოტა ხანს შემდეგ ავად გახდა კოსტომაროვის მეორე ყმაწვილი, 2 1/2 წლისა. ავადმყოფს ყმაწვილის დედა და ბებია უკლიდნენ. ავადმყოფის სანახავად მიდიოდა ხო-

ლა ყოვლად შეუძლებელია შვეიცარიელის ოჯახისათვის. მეტეფითომ-კი იყაბულებენ „grand papa“ და „grand maman“, რომ იმ სახლს მოაშროთ, სადაც მთელს მათ სიცოცხლეს გაუვლია და ახალს, უცნობს სახლში გადიყვანოთ?! ეს პატრეცემულნი ბაბუა დედა-ბებები დარწმუნებულნი არიან, ახალს სახლში ერთს დღეს ვერ ვიცოცხლებთ, იმ წამსვე სული ამოგვივიაო. „არა, ამ სახლში ჩემ მამა-პაპას რამდენიმე ასი წელი უცხოვრია და აბა ეხლა როგორ დავანებო თავიო“, გეტყვით შვეიცარიელი.

გთხოვთ, ეხლა შვეიცარიელის გლეხის სახლში მობრძანდეთ. ეს სახლი ქვეთკირისაა, ორ სართულიანი. ქვემო სართულში უფროსი ძმა სცხოვრობს თავის ჯალაბობით, ზემო სართულში — მეორე ძმა. ავიდეთ ზევით, აივანზედ, და შეველოთ პირველის ოთახის კარი. ამ ოთახში სამზარეულო ყოფილა. თაროებზედ აწყობილია გაპრანქებული სპილენძის ქვებები, შუშაბანდიან განჯინაში მოჩანს გრძელ ცხვირიანი ყავადანი, სუფთა ჯამები და თეთრი თიხის ქურქელი. ამ ოთახში არა გვესაქმება-რა. ეს ოთახი დიასახლისის სამეფოა,

მე კოსტომაროვის ნათესავი 9 წლის ქალი. იმავე დღეს ავად გახდა კოსტომაროვის სიდდერიც და მეორე დღეს ავადმყოფი ყმარწვილი გარდაიცვალა. მესამე დღეს გარდაცვლილს ყმარწვილს თან გადაჰყვა კოსტომაროვის სიდდერიც. და ყმარწვილის დედა და ნათესავი პატარა ქალი ორივენი ავად გახდნენ. ავადმყოფნი სამკურნალოში გაჰყვანეს. მკურნალები ამბობენ, რომ ყველა ხოლოდით იყვნენ ავად. მთავრობამ გარდასწყვიტა, გარდაცვალებულთა გვამი ექიმებმა გასჭრან და ნამდვილად შეამოწმონ, თუ რითი გამხდარან ავად.

* * * კომა: 25 ნოემბერს საღვურს ახლო ერთმა ავაზაკმა მოინდომა თ. ამირჯინის გაძარცვა მაგრამ, თ. ამირჯინის ყვირილზედ ხალხი მოგროვდა და ავაზაკი გაიქცა. 26 ნოემბერს, საღამოს რვა საათზედ, ეს ავაზაკი შეიპყრო რკინის გზის ჯანდარში და აღმოჩნდა, რომ სოსო თედლაშვილი ყოფილიყო, რომელიც ორჯელ არის ციმბირიდან გამოეცქვლი. ავაზაკი გადასცეს სურამის მაზრის ბოქაულს.

25 ნოემბერს ორ მეურმეს, რომლებსაც შავი ქვა მოჰქონდათ, რაღაზედაც ჩხუბი მოუვიდათ და ერთმა, ალექსანდრე წერეთელმა ხანჯლით დასჭრა დავით გამართელი. დაჭრილ რკინის გზის მკურნალი შულცი სწამლობს.

* * * სამტრედი: 25 ნოემბერს აქ ავად გახდა ხოლოდით ოსმალეთის ქვეშემრდომი მურად ხუჯურაძე, 33 წლისა, და 26 ნოემბერს გარდაიცვალა.

* * * ავთქაბული: 25 ნოემბერს ნატარებელ ქვეშ ჩავარდა ივანე ივანეს ძე პულიაინი, 17 წლისა. საბრალო ყმარწვილი მატარებელმა ისე გასრისა, რომ იმ წამსვე სული დალია.

* * * განჯიდან, სწერენ „Н. О.“-ს, რომ იქ ეხლა ყვავილი მდინეარებს.

* * * გაზეთი „Новости“ იუწყება, რომ მომავალ წელს რუსეთის ყვე

ლა სასწავლებელში სწავლა 15 აბრილს მოიხსობაო.

* * * ჩენს გაზეთში დაბეჭდილი იყო დეპეშა, ეს დეპეშა გაზეთ „Народ“ -ს ატყობინებდა ახალციხიდან, ოლქის სასამართლომ გაართვინა საქმე ექვსის კაცისა, რომლებსაც მთავრობის წინააღმდეგობა ჰბრალდებოდათ. ორი მათგანი გამართლდა და ოთხს სამის წლით სასუზაო როტებში გაგზავნა მიუსაჯაო. მოგვყავს ამათი სახელი და გვარი. დამნაშავედ სცნეს ზემოდ და აღნიშნული სასჯელი გადუწყვიტეს: ელიშე ბაბაიანც, გალუსტ ვართაპეტოვს, გეურქ თომაზოვს და მანუკა თოფჩინიანც. გამართლეს: ფართება ჩევაკოვი და მარკოზა თოფჩინიანცი.

მთავრობის განკარგულებანი

მის მძაფრ ყოვლად უსამღვდელოესსაბის, ხელად დანიშნულ საქართველოს კესანსის მისაგებულად კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით ქაჯაქის სადგურზედ დასჯებულან: ტფილისის ზოლიტისტერა და ერთ-ერთი ადგილობრივი ბოქაული. შემდეგ მისს მძაფრ ყოვლად უსამღვდელოესობა ეტლით წაბრძნდა წმ. ქაშუეთის კეკელსამდე; ეტლს წინ წარუძღვება ზოლიტისტერა, ცხენსაწინა ჯანდარში და მთავარ-მართებლის განკარგულებით.

ქაშუეთის კეკელსამის გაჯანში კესანსის მიეგებულან: ტფილისის გუბერნატორი, თავად-ზნაურბის წინამძღოლი, ქაჯაქის კომენდანტი, ქაჯაქის მოურავა და ამქრება ბაიბალებით.

ქაშუეთის კეკელსამის მისა მძაფრ ყოვლად უსამღვდელოესობა შეამოსება და გოლოვინის შროსპეტით, სსსსლის ქუბათა, ერქენის მოედნით და შუახზრით ლიტანათ წარემართება სიონის ტაძარში, სადაც მოაბრძნებულან მისთან ერთად ყველა ზემოთ მასსენებულნი. ცხენსაწინა ჯანდარში და განკარგის უსახეობე თან მიჰყვებიან.

ამ დროსთვის სიონის ტაძარში შეაგრებება გეურდობა, შტაბ-ავადრება და აგრეთვე სამქაჯაქა მოსელები.

ძვირფასი რომ გააჩნია. კვლები მოფენილია ყველა გარდაცვალებულთა და ცოცხალის ნათესავების სურათებით, შუშაბანდიან განჯინაში აწყვია ათას ხირი, ფერად-ფერადი შანდლები, თევზები, პატარა ღოჭები და ვინ იცის კიდევ, რამდენ ნაირი რა გინდა-რა. ვისაც-კი როდისმე მოსწონებია რომ სადმე ქალაქის ბაზარში და უყიდნია, ყველა აქ არის შენახული. ცხრა მთას იქილამ მოტანილ ელდგომის კვერცხთან ერთად, რომელსაც „ჭრისტე აღდა“ აწერია, ჰნახავ ოცისა ან თხუთმეტის წლის წინად „ახლად გამოგონილს“ მანქანას, რომელსაც „პულვერიზატორს“ ეძახიან და რომლის ხმარებაც ერთად ერთმა ბაბუას დედაშვილის ძმის წულმა იცის და ისიც ამ ეხმად ამერიკაშია წასული. ამ გვარი ნივთები ბევრი აწყვია განჯინაში, ვინ იცის, იქნება როდისმე დაგვირდესოა. * * *

მაგრამ არა, ეს ფერად-ფერადი შუშები, ღოჭები და ათას ნაირი წვრილი ნივთები ეხლაც გამოსადგვია, ეხლაც არ არის მნიშვნელობას მოკლებული. კვირაობით აღებენ შუშაბანდიან განჯინას და მოზრდილი ყმა-

სეთივე წეს-რიგით კესანსის სიონის ტაძარში წაბრძნდება საქსანსისა კეკელსამის, ხოლო სამსჯედო და სამოქაჯაქა მოსელები შეაგებულან კესანსის სსსსში.

დაბბ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

საჯანსის. ამ სახელს უწოდებენ საერთოდ თითქმის ათს სოფელს; ეს სოფელნი, დაბა ორპირიდან დაწყობილი, მდ. ხევის წყალმდის (სამხლვარია გურია-იმერეთისა) არიან გამწკვრივებულნი.

მდებარეობა მათი მშენებრია. პირველი სოფელი ბარ-საჯავახო, სადაც რკინის გზის სადგურია, ვაკე აღვილზედ არის გაშენებული. თუმცა ზაფხულობით ციებ-ცხელება ხშირი სტუმარია აქაურის მცხოვრებლებსა, მაგრამ, სამაგიეროდ, მეტად ნაყოფიერი მიწა ბარ-საჯავახოსა, სადაც ხშირად ოთხის აღლის სიმაღლე სიმინდს შეხვდებით ხუთ-ექვს „ტარათი“, ავიწყებინებ აქაურს ყოველსავე დარდს. დანარჩენი სოფლები მთაშია და ერთს მეორისაგან მოზრდილი გორები ჰყოფს. გორები დაბურულია სქელის ტყით. თვით სოფლები ბაღებით არის შემკული.

შუა გული საჯავახოსი ვახლავთ სოფ. აბაშა. აბაშა ყველა სოფლებზედ კობტა და ლაშაზი, მეტადრე ზაფხულში. ტყის წყალობით აქ ზაფხულში ზომიერი ჰავაა; ჰაერი ძირიელ სუფთაა და ამისათვის ავადმყოფობაც ნაკლებად იცის. სწორედ ნამდვილი საჯავახო ადგილი იქნებოდა ჩვენი აბაშა, რომ ცოტა რიგიანი სადგომები იშოვებოდეს.

საყურადღებოა აქ ეკლესია წმ. გიორგის სახელობაზედ აშენებული მახლობელს მაღალ მთის წვეროზედ. სახელად ამ ეკლესიას გამოიწიებულია წმ. გიორგის ეკლესიის ეძახიან, ალბად იმიტომ, რომ გამოსაჩენ ადგილზედ არის აგებული. კაცი სიამოვნებით ვერ გაძლება, რო-

ვილები ფრთხილად სწმენდამენ ამ „ძვირფას“ ნივთებს და ფრთხილადვე აღვებენ „სალაროში“. პატარა ბაღლები შუარის თვლით შესტვირნიან ამ დღაგებას და ჰნატრობენ, როდის იქნება, ჩვენც გავიზარდეთ და ახლა ჩვენ დავალგოთ ხოლმე ეს განძეულობაო. ამ სახით ყმარწვილები სახლისა და ოჯახის დალაგებასა სწავლობენ. მერე განა არაფრად არა ჰღირს, საბრალო დედაბერი რომ გაერთობა ხოლმე ამ პაწია ნივთებით. შესტვირის ამ ნივთებს მოხუცი და ყველა ნივთი მოაგონებს ყმარწვილობაში მომხდარს რაიმე ამბავს. აი ეს პაწია, აღის ფერი შუშა საქრამო მოუტანა საჩუქრად, როცა ეს, წელში მოხრილი ბებია ჯერ ისევ ცქრიალა, გასათხოვარი ქალი იყო. როცა ბებიას წიგნის კითხვა მოსწყინდება, როცა პაწია შვილი-შვილები სკოლის გაკვეთილებს დაისწავლიან, ბებია გარს შემოისხამს და ამ ნივთების ამბავს მოუყვება.

სალაროშივე შენახულია ამ ნივთებ შორის „grand livre“ — სქელი წიგნი, ძველის, ეამთა ვითარებით გაკვეთილებული ფურცლებით, ამ წიგნში ჩაწერილია მთელი ისტორიული ქრონიკა ოჯახისა. ვინ იცის, რომელ

ცა ამ ეკლესიის გალაგნიდამ გადმოსტვირის მთელს ქვემო-იმერეთს. საღამოს ეამზედ, თუ მოწმენდილია, ძლიერ გარკვევით ჰხედავთ უზარ-მზარს კავკასიონის მთებს თავის ქალარა წვეროებით; ჰხედავთ ქუთაისს, სამტრედიას და ზუგდიდს, ერთის სიტყვით, მთელს ქვემო-იმერეთს და სამეგრელოსაც-კი. მზის ჩასვლისას თითქმის შავ ზღვასაც გაარჩევს კაცი.

გამოიწიებულია ეკლესია ქვისაა. აშენებულია მეფედმეტე საუკუნეში. ხალხი ძალიან პატივს სცემს წმ. გიორგის ხატს, რომელიც ძვირფას-ს თვლებით არის მოჭდილი. პატივს სცემენ არა მარტო მახლობელი მცხოვრებლები, შორეულის სოფლებიდანაც ხშირად მოდიან აქ მლოცველები შესაწირავთ. ერთს დროს აქ მონასტერი ყოფილა, სადაც დიდხანს ეპისკოპოზიც მჯდარა. ეხლა ეს ეკლესია ორ „შტატანია“.

აბაშის საზოგადოებაში თითქმის შეიღასი მოსახლე კაცი სცხოვრობს. უმეტესი ნაწილი მათი გლეხ-კაცობაა. ხალხი ძლიერ ბეჯითია, სიზარმავე არ უყვარს, განუწყვეტელს მუშაობაში ატარებს დროს; მაგრამ სიღარიბე მაინც დიდი აქვთ.

რა არის ამის მიზეზი, რადა ვართ ღარიბნი, რა გვიშლის ხელს? გვაკლია სწავლა, ცოდნა.

ამოდენა ხალხს ერთი ხეირიანი სკოლა არა აქვს; თუმცა აქა-იქ არის კერძო სამრევლო სკოლები, მაგრამ დიდი სარგებლობა ვერ მოაქვთ. თვით აქაურს მღვდელს აქვს კერძო სკოლა ეს ოცი წელიწადია. იქ ბევრმა ისწავლა ცოტა ოდენი რამ, თორემ ესეც რომ არა ყოფილიყო, თქვენი მტერია, მაშინ ჩვენში, მგონი, ერთი გლეხი ვერ გემოვნათ, რომელსაც თავის სახელის და გვარის დაწერა სკოლნიყო. მოაგონებთ თუ არა ჩვენს გლეხს სკოლის სახელს, მაშინვე თავის გაქირვების ისტორიას მოგიყვებათ: რა ვქნა, გადასახადი მაქვს ბევრი და ვეღარ აუფედიო. მართლაც, გლეხებს გარდასახადი ისე ბევრი აქვთ, რომ ღონის-ძიება აღარ არის, სკოლისათვისაც ვადასდოს რა-

დროიდან იწერება ამ წიგნში ოჯახში მომხდარი ამბები: ვინ რომელ დღეს დაიბადა, ვინ როდის დაქორწილდა, ვინ როდის გარდაიცვალა, ვინ რომელ დღეს მიაბარეს სასწავლებელში და სხვა ამ გვარი „მესანიშნავი ამბები“. ამივე წიგნში იწერება ოჯახის ბიუჯეტიც, ე. ი. შემოსავალ-გასავლის ანგარიში. ეს წიგნი სახლის წმიდა ნივთია, ყმარწვილები ხელს ვერ ახლებენ, მხოლოდ კვირაობით, როცა ეკლესიიდან დაბრუნდება „grand papa“, ამ წიგნს გადმოშლის და დიდხანს ჩასტვირის ჩაყვირებული ფურცლებსა. „ბაბუამ წარსულ საუკუნეთა წყვილიდმი ჩაიყურქუქე-ლაგაო“, ოხუჯობენ ხოლმე მაშინ ახალგაზდები. შვეიცარიის სოფლებში არის ისეთი სახლები, რომელშიაც 600 წელი სცხოვრობს სულ ერთი კაცის გვარეულობა.

* * * ოჯახის შესამატადა და რიგიანად მოწყობისათვის ყველა შრომობს, დიდ პატარამდე, ვისაც-კი როგორც ეხერხება. სკოლაში სწავლა დამთავრებულნი ყმარწვილები ხშირად მიდიან სხვა ქვეყნებში და სხვა-და-სხვა ხელობასა ჰკიდებენ ხელს. შვეიცარიის იმ სოფლებიდან, სადაც სულ

მე. თუმცა სკოლის დაარსებამდე ხალხი უარს ამბობს, მაგრამ იმიტომ-კი არა, რომ არ მოსწონს და არ ედევ არ უნდა, არა, ხალხს სიოთია და გულთა უნდა სკოლაში მისწავნილარიბე მეტად უშლის ხელს. ამიტომ საქაროა შემწეობა აღმოაჩინონ დაღარიბებულ გლეხობას ჩვენებურმა შეძლებულებმა, შეადგინონ ფონდი შეწირულობით სკოლის სასარგებლოდ. ნუგეშ-ცემული გლეხობაც თავის მხრით გამოიღებს ცოტაოდენს და ამ რიგად საერთო ღონით საქმე გაჩაღდება. თუ ეს ასე არ იქნა, გლეხების ეხლანდელი ნივთიერი მდგომარეობა ისეთია, რომ ჯერ კიდევ დიდი ხნის ლოდინი მოგვიწევს, ვიდრე საკუთარის მათის ღონისძიებით დაარსებულ სკოლას მოვესწრებოდეთ. ჯერ პირველ ნაბიჯის გადადგმა ძნელდება და სწორედ ეხლაა საქარო შევლა, თორემ მერმე, იმედია, საქმე კარგად წავაქაურნი ვენახები? ვის არ გაუგონია საჯავახოს ღვინის ქება? ამ რამდენისავე ათის წლის წინად ჩვენებური ღვინო კახურს არაფრით ჩამოუვარდებოდა თურმე. თანაც ისე ბევრი მოდიოდა, რომ ქურჭელსაც ვერ შოულობდნენ. მაგრამ, საუბედუროდ, ეხლა „საზარებლადაც“ ვერ იშოვი აქ უწინდებურ ღვინოს. ქურჭები ბაყაყებს დარჩათ სათარეშოდ. ბოლო მოუღო აქაურს ვენახს ნაცარმა. აქ სულ მაღლარია (მაღალ ხეებზედ გაშენებული ვენახი). სასიამოვნოა სანახავია ვენახიანი ხე, სანამ დაინაცრებოდეს, მაგრამ დადგება თუ არა მკათათვე, მტევნები ხმება და ძირს სცივდა და ახ ზედვე სქვენება. გლეხები მისჩერებიან ხელჯულ-დაკრეფილნი და უტლიან, როდის მოგვაცილებს ღმერთი ამ სასჯელსაო. ეხლა, ჩვენებურის ყურძნის მაგიერ დაიწყეს მოშენება „აღესასი“, მაგრამ ხალხი ჯერაც ვერ მისჩვევია და სამატკვიონით მიანინა ადვისი ღვინის მატკვიონის მირთმევა. საქაროა ვენახის წამლობის მცოდნეებმა მიაქციონ ყურადღება ვახის ავადმყოფობას და უჩვენონ მაგალითი ვენახის წამლობისა.

რაჟდენ ი—ძე კანდელაკი

300-მდე მცხოვრებია, 200 კაცზედ მეტი უცხო ქვეყნებში მიემგზავრება ფულის საშოვნელად: ამერიკას, ინგლისს, რუსეთს და კიდევ ვინ იცის სად. იმ ოჯახში, სადაც ხუთი მოზრდილი შვილია, სამი, ან ორი მაინც უუქველად სხვა ქვეყანაში გაემგზავრება. ყველა ესენი ძლიერა ნაღვლობენ სამშობლოს მომორებასა. ზოგი მათგანი უცხო ქვეყანაში ვერც-კი სძლებს და 2—3 წლის შემდეგ შინა ბრუნდება, დაჰხედავს თავის სამშობლოს, ნათესავთ და ისევ გამგზავრება უცხო ქვეყანაში. ზოგს-კი ბედი გაუღიმებს, მოაგროვებს ფულსა, დაბრუნდება, დაკოლმეოდება და თავისთვის მოაწყობს ოჯახს. ვინც სახლშია დარჩენილი, არც ისა შრომობს ნაკლებად. შვეიცარიელის გლეხის შრომის მოყვარეობა, სინიდი-სიერება და პატიოსნება მთელს ქვეყანაშია განთქმული.

დავილაღე. სწორედ მოგახსენოთ, ყველა ამას რომ ვსწერ, გული შეოთი მეფსება. ვსდებ კალამს და ვიწყებ ოცნებას: როდის იქნება, რომ ჩვენ ქვეყანაშიაც ასე რიგიანად, აღმიაურად მოაწყოს ცხოვრება...

აპაქის ნაწილის დაბეჭდვის გამო.

(წერილი რედაქციის მიმართ)

ბატონო რედაქტორო, უმოკრჩო-ტესადა გთხოვთ მცირეოდენი ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ივერიაში“ ამ ჩემს პატარა შენიშვნას.

სხვათა შორის ტფილისელ მოსამსახურეთა და ხელოსანთა მოცმათ დიდს ლოდინს შემდეგ ის ფრიად სასიამოვნო ამბავი, რომელსაც ეს რამოდენიმე წელიწადია ვნატრობთ.

ვისაც-კი მოსამსახურეთა და ხელოსანთა უმეტესობასთან აქვს დაახლოებული კავშირი, ვინც-კი დღე და ღამ იმათა იმყოფება და იმათს ცხოვრების მიმდინარეობას და ზნეხასიათს ფხიზლად თვალ-ყურს ადევნებს, ის უტყველია არა ერთხელ და ორჯელ გაიგონებდა იმათს პირიდან, ამ სიტყვებს: „ნეტავი ველორსებოდეთ და აკაკი თავის ნაწერებს ერთად დაბეჭდეს, რომ თვითაოლოს ჩვენგანს შეეძლოს ერთიანად შექმნა იმის ნაწერებისა, ვინ შერცხვენილი ფულს მიხედავს და სულიან-ხორციანად რომ გვეყვილო, სრულიად შევიძინო“, იტყუა ერთი და გამიგონებდნენ ყველანი.

ეს სიტყვები ფრიად სასიამოვნო და საყურადღებო იმათთვის, ვინც-კი დაბალი ხალხის განების გახსნას, განვითარებას და იმათს დახმულ-დახურულს არსებობის წესიერ წრეში ჩაყენებას სცდილობს.

ჩვენი დაბალი ხალხი ამ დროში ემსგავსება, თუ არა ესცდები, უპატრონო ოხერ-ტიალა უსუსურ ბავშვს, რომელსაც ისედაც ნორჩსა და სუსტ აგებულებასთან ერთად, სიმშობილი ასუსტებს, რადგანაც უმწიბრობა და სიღარიბე ძალსა ჰღებს, და შეუძლებლობით ყოველს თავის ღონისძიებასა და სურვილს მოკლებული, სტირის და ღრიალებს. ამ გვარს უპატრონო გავერანებულ ბავშვს, ვინც ხშირად მოეჩვენება, მიუაღერებს, ძუძუს მიწვდის და მშობლიურად თავზედ ხელს დაუსომს, იმისი დედაც და ლალაც ის არის, და იმისი სიმკაცრე სხვის ღიმილს ურჩევნია. დღეს ამისთანა ძიძა და ლალა ითვლება დაბალი ხალხისათვის ჩვენი დიდად პატივცემული მწერალი, თითქმის ჩვენი მამა და აღმზრდელი ბატონი აკაკი, რადგანაც მას არასდროს არ დაუზოგავს ჩვენთვის არავითარი რაიმე საკეთილო ღონისძიება, შეწირული აქვს ჩვენთვის ბევრი ისეთი დრო და ენა, რომელიც იმისთვისაც ძვირად ღირებულა და მით შერჩევით მოუწვდია ჩვენთვის გონებითი საზრდო; და ჩვენც მივიღია და შეგვიტკბია დედის რძის მსგავსად... დამტკიცებით შეგვიძლიან ვსთქვათ ჩვენ, დაბალმა ხალხმა, რომ ბატონ აკაკის ნაწერები შეადგენს ჩვენთვის დიდს ნივთიერებას და ყოველი იმისი სტრიქონი აკმაყოფილებს ჩვენი გულის უმთავრესს სურვილს და ამისათვის უწყსოვობად ნუ ჩაგვეთვლება ვსთხოვთ ანუ ვურჩიოთ „ქართული წიგნების მბეჭდავ ამხანაგობას“, რომელსაც განუზრახავს ამ ჩვენის საყვარელის პოეტის ნაწერების დაბეჭდვა, რამდენადაც-კი შეიძლებოდა, ფასი ნაკლები დაადვას, რადგანაც ფასი ვერც საქონელს და ნაწარმოებს ღირსებას მოუმატებს და ჩვენ შეუძლებელ მოთხოვნილებათა

შეგან მოყოფათვისაც დიდს შეღავათს შეადგენს და რადგანაც ყოველს ჩვენგანს აქვს სურვილი შევიძინოთ ყველა იმის ნაწერები, რომელსაც ვუსაზრდობთ გონებრივად, ისე როგორც ასაზრდოებს ძუძუთი მოსიყვარულე დედა თავის მომავალ იმედს!..

ერთი ხელოსანთაგანი

ნაწკვევი

(ქუჩაზედ გაზეთებიდან)

ვინც ცოტათი მაინც დაჰკვირვებია ჩვენ სკოლებში და სახლშიაც-კი დედ-მამის მიერ ემაწვილების აღზრდას, უტყველია ეცოდინება, თუ რა ძნელია ეს საქმე, საქმე ემაწვილის აღზრდას, სწავლებას. მშობლები და მასწავლებლები ათასგვარ საშუალებას ხმარობენ ემაწვილის აღზრდასათვის. გასწავთ მზებლითად სკოლის „ქუჩაზედ“, და იმ წაგნში ასეთს სიტყვებს შეხვდებით: ყოფა-ქცევა ცუდი აქვს, ზანტია, ზარმაცი, უკულისურა და სხვ. ასეთი სახლშიაც მშობლები ძლიერ ებრძვიან ემაწვილის სიზანტეს: დედა და დამ ჩასჩინებენ, გულმოდგინედ ისწავლე, ნუ ზანტობ, ნუ ზარმაციობ, და სხ. თუ სიტყვით ვერას ჩაგონებენ, სხვა საშუალებას იხმარებენ ხოლმე. რაიმე საამოვნებას მოაკლებენ, ან უსაღილოდ დასტოვებენ, ბნელ ოთახში დაამწყვდევენ; თუ ამითაც ვერას გახდნენ, რეპეტიტორს მოიწვივენ, მაგრამ... მაინც ყოველ დედასწივან, არ ეშვება რა ჩვენს შვილსა, სიზარმაცეს ვერ გადავაჩვიეთ, სწავლას ვერ წავაზადისეთო. ამ ემაწვილების მშობლებს რომ კარგის მკურნალისათვის მიემართნათ, შეიტყობდნენ, რომ ხანდახან ემაწვილის სიზარმაცეს სხვა რამ მიზეზი აქვს. იქნება აი ესეც იყო მიზეზი: ემაწვილს სუსტი თვალები და წიგნის კითხვით მაღლე იდღება. ამას გარდა ბავშვების ბუნება სხვა-და-სხვა ნაირია. ყველას ერთნაირი მესხიერება არა აქვს. ერთი ძლიერ ადვილად ისწავლებს სხვა-და-სხვა უცხო ენის სიტყვებს, მეორე ძლიერ კარგად და ადვილად სწავლობს არითმეტიკას, მესამე ისტორიას. ემაწვილს ხშირად ერთი საგანი უყვარს ხოლმე. ეს მით ახსნება, რომ ამ საგნის შესწავლა ძლიერ ეადვილებს. აი ზოგიერთა მზებლითები, რომელიც სხვა-და-სხვა ქუჩაზედ გაზეთებში ამოვიკითხეთ.

დღევანდელ მესხიერა ჰელმგოლცის თქვა ერთხელ: ეხლაკარგად მასხვს, რომ ემაწვილობის მარჯვენა მხარეს მარცხენასთან ვერ გავარჩევდი ხოლმე. სხვა-და-სხვა ენის გრამატიკის შესწავლა ხომ სიცოცხლის მიმწარება, ისე მეძნელეობდა. ლექსების დასწავლა ხომ დიდი ტანჯვა იყო ჩემთვის.

გეტყვარავითარი ნიჭი არა ჰქონდა მათემატიკის შესწავლისათვის. ბაბრონს ძლიერ ეძნელებოდა ბერძნულსა და ლათინურის ენის შესწავლა.

რუსეთის პოეტი პოლონსკი სწერს: რუსულს ენაზედ ზღაპრებისა, მოთხრობებისა და ლექსების გაზეთებში ძლიერ მეადვილებოდა; რომელიმე ლექსი ორჯელ რომ წამეკითხნა, საქმარისი იყო ზეპირად დამეწავლა და ლექსების ზეპირად წაკითხვით ყველას გავაოცებდი ხოლმე. მაგრამ ერთხელ აი ეს სიტყვები მომცეს დასასწავლად: Dieu, Dieu le fils და

Dieu le saint esprit. ამ ექვს სიტყვას დილით საღამომდე ვიზიარებდი, და დამეცა, როცა ლოგინში ჩავწექი, ათჯერ მაინც გავიბრუნე, მაგრამ მეორე დღეს ეს სიტყვები აღარ მასხვდა, განსაკუთრებით უკანასკნელი სიტყვა სრულებით ვერ მოვიგონე.

ესლა კიდევ სხვა მზებლითები მზებლით დასამტკიცებლად იმისა, რომ ზოგი ერთი ემაწვილი მართლად ზარმაცი-კი არ არის, მაგრამ რომელსამე საგანზედ გული აცრუებული აქვს და ამ საგნების შესწავლა ჭირვით ეჯავრება.

რუსეთის კრიტიკოს ბელინსკის ძლიერ ეზარებოდა ხოლმე გინეზიაში სიარული. ეს სიზარმაცი არ აიხსნებოდა, ამბობს ლევ ტოლსტოი, პატარა ბელინსკი სახლში ჩაუჯდებოდა ხოლმე იმ წიგნის კითხვას, რომელიც მოეწონებოდა და ამ კითხვაში ხშირად მიიღო ღამე გაუთენებია. შემდეგში, როცა ბელინსკიმ მწერლობას მოჰკიდა ხელი, ხანდახან 3-4 დღე დაღმეს მუშაობდა, ვიდრე სრულიად არ დაიქანცებოდა შრომითა და უძილობით.

ზარმაციებს ეძახდნენ სკოლაში: ნიუტონს, შექსპირს, გიბონს, ნიბურს, ბაირონს, ვალტერ-სკოტს, ფრანკლინს, გოგოლს, სფიღეს და სხ. აღსიზანს ისე ეჯავრებოდა ხოლმე სკოლაში წასვლა, რომ გაიპარებოდა ხოლმე და ტყუილ იმალეობდა.

შერიდანი საშინელი ზარმაცი იყო, არც შინა და არც სკოლაში არაფერს არა სწავლობდა. დედ-მამამ და მასწავლებლებმა იმ დროს, როცა შერიდანი 8 წლის ემაწვილი იყო გადასწვიტეს, სრულიად უნიჭო არისო. 25 წლის შემდგომ-კი შერიდანს აღტაცებაში მოჰყავდა მთელი ინგლისი თავის საუცხოო კომედიებითა და შესანიშნავი მჭერჭმეტყველებით.

ედგარ პოე, რომელსაც სწავლებელშიაც-კი მისცეს, არსად არ დააყენეს და გამოიტყვეს. „ზარმაცი და უნიჭო არისო“.

გამაჩვილი ჰელმგოგი პესტალიცი რომ მსკოლაში სწავლობდა, მის ქვიანამა პედაგოგებმა ერთხელ აღიარეს, სწავლის ნიჭი სრულებით არა აქვსო.

რა არის ამის მიზეზი? მეტი არასფერი, გარდა იმისა, რომ სკოლაში ემაწვილს ხშირად ისეთს საგნებს ასწავლიან ხოლმე, რომელიც სრულებით არ ესმის და მის გონებასთან შეუთერებელია. ამ საგნებს უფრო ადვილად სწავლობენ ყოველად უნიჭო ემაწვილები, რადგანაც მხოლოდ იმათ მეუძლიანთ დასწავლობა თუთი-ყუძივით ისეთი საგნები, რომელიც სრულიად არ ეყურებათ. იმათ აქებენ, გულ-მოდგინე და გულისკურნაში მოჰფენი არიანო და ნიჭიერ ემაწვილებს-კი ხშირად სკოლიდან ითხოვენ ხოლმე. ამ აზრის დასამტკიცებლად არ შეგვიძლიან არ მოვიყვანოთ შეტაკოვის დისტერვეის სიტყვები:

იმ მოწაფეთა, რომელთაც ძლიერ უძნელდება ერთნაირად ყველა საგნების სწავლა და მხოლოდ ზოგიერთ საგნებსა სწავლობენ გულმოდგინედ, შემდეგში უფრო მომეტებული იმედი უნდა გვქონდეს, ვიდრე იმათი, რომლებიც ყველა საგნებს რიგადად სწავლობენ, მაგრამ არც ერთი საგანი-კი არ უყვით სხვებზედ მომეტებულად.

უცხოეთი

ინგლისი. აფრიკის ერთს კუთხეს, სახელად უგანდას, ინგლისელთა ერთი საზოგადოება დაპატრონებია და, ვითომ ვაჭრობისთვის ვართ აქაო, ქვეყანას ნელ-ნელა ინგლისის სამფლობელოდ გადაქცევა უნდათ. ამ

გვარადე დაიჭირა ინგლისმა მთელი ინდოსტანი, რომელიც დიდს სარგებლობას აძლევდა თვით მოკაჭრე საზოგადოებასაც და ინგლისსაც ამისთანა მდიდარი ქვეყანა შესძინა. უგანდაში სულ სხვაფერ დატრიალდა საქმე—მოკაჭრე საზოგადოების საქმეები ისე ცუდად მიდის, რომ ლამის თავი დაანებოს და სხვაგან სადმე მოსძებნოს უკეთესი ადგილი. მაგრამ ეს ქვეყანა თუ ვაჭრობით მნიშვნელობას სრულიად მოკლებულია, პოლიტიკურად—ძვირფასი განძი იქნება ინგლისისთვის, რადგან უგანდა კარია სულანასა, რომლის დაქერას ინგლისი დიდი ხანია ცდილობს. გლადსტონი, რასაკვირველია, არ მოიწონებდა საზოგადოების განზრახვას, რაც-კი შეიძლებოდა, მხარს მისცემდა და შეეწოდა, ოღონდ ინგლისის გავლენა გავრცელებულიყო როგორმე და სწორედ ამ გარემოებით ისარგებლეს მის მოპირდაპირეთ და უსაყვედურეს: თუ შენ სამშობლოს მტერი არა ხარ, რა მიზეზია, რომ ირლანდიას ანთავისუფლებ და უგანდას იზონებო? განვითარებულის, განათლებულის ერის ისეთი დამონება, როგორსაც ითმენს ინგლისისგან ირლანდია, ინგლისისთვისვე არის სამარცხნო და მით უფრო მეტად, რომ ირლანდიას თავისთავადაც შეუძლიან ცხოვრება და ევროპის განათლებულ ერთა შორის არც ის ჩამორჩება ვის-მე უკან. სულ სხვა უგანდაში, სადაც თითქმის პირვანდელი ტომი ცხოვრებს. ამისთანა ქვეყანაში კაცმა განათლება შეიტანოს და არა მხოლოდ გარყვნილება ჰქონდეს, ამისთანა ხალხს-კი აღამიანებდა სთელიდეს და არა მხოლოდ საქონლის სადარ მუშად, რომლის ოფლით შეიძლება პატრონი შემდეგში სულ ხვედრში ფუფუნებდეს და შამანურ ღვინოს მიირთმევდეს, ამისთანა ხალხი კაცმა განათლების გზაზედ დააყენოს, და არა იმისთვის დასახლდეს მათში, რომ ამოწყდით, თქვენს ადგილს ინგლისელებს დავასახლებო, ეს იმისთანა წმინდა აზრი და განზრახვაა, და არამედ თუ აზრი და განზრახვა, ეს იმისთანა წმინდა დანიშნულება და ვალდებულებაა საზოგადო მოღვაწისა, რომ ზემოდ მოყვანილი საყვედური გლადსტონის მიმართ მხოლოდ მის მოპირდაპირეთა გზრახვას, ჯიბრს, და სიცრუეს ამტკიცებს. იტყვიან, გლადსტონი მხოლოდ პოლიტიკურ მოსაზრებით ჰხელმძღვანელობსო, მაგრამ გლადსტონი საქმარისად ცნობილია, რომ ჩვენი გამართლება და დაცვა უნდოდა.

შაერთებული შტატები. ამერიკაში დიდი ამბავი მოახდინა პანამის საზოგადოების გაკოტრებამ. ქუჩაზედ გაზეთები ერთხელად გაიძახიან—ამერიკელებსაც დიდი ფული ჰქონდათ პანამის საქმეში და თვით მთავრობამ იკისროს მოქალაქეთა ინტერესების დაცვა, რადგან კერძო კაცი ამერიკიდან საფრანგეთში ძნელად გადასწდებოდა.

გამანიანი. იეზუიტებს კანონის ძალით ადგენდებოდათ ყოფნა, მაგრამ რეისტაგში შეტანილია ახალი აზრი ამ კანონის შეცვლისა. გერმანელ კათოლიკენი როგორც-ც ობოლად ჰგონებენ თავიანთ თავს იეზუიტებოდ და სთხოვენ რეისტაგს, ნება უბოძეთ ლოიოლას მიმდევართ თავისუფლად იმოქმედონ ჩვენს ქვეყანაში.

ყაზარმად ქვეყნის გერმანიას ეს ლა აკლდა: თუ ამ ყაზარმად გერმანიის იმითი არსებობა შეეძლებოდა, ქვეყნის დამარცხებისა და სისხლისღვრის მეტს წაიხსნებოდა. უგანდას საზოგადოება გახდებოდა, როცა ამ აზრის ასასრულებლად იეზუიტების საშუალებას მიჰმართავს. რითი გათავდება ეს საქმე, ჯერ არავინ იცის. ხოლო შეიძლება მთავრობის მომხრეთ და კათოლიკებმა ერთმანეთს მხარი მისცენ და სამხედრო პროექტიც შეაწყნარებინონ რეისტაგს. თუმცა საზოგადოებრივი აზრი ამ პროექტში მხოლოდ ერთს რასმე ეთანხმება—სახელდობრ სამხედრო სამსახურის ვადის შემოკლებას; დიდად, შეიძლება ეს პროექტიც შეაწყნარებინონ და იეზუიტების დაბრუნების კანონიცა.

წერილი რედაქციის მიმართ

გაზეთ „ივერიაში“ იყო მოსწონებულად, რომ „დაბა ახალში ქსურთ და ახალს უფასო სახალსო წიგნთ-საგებო“. ამ ფაზად კეთილ საქმისათვის, როგორც ვიცით, ცოტა ოდენი ფულიც არის შეგროვებოდა ოუ წამოგდენს გამართვით, თუ სკლის მოწიროთ და ახარა ამ სამის მოთაჯეს, სასტავსა სუმიანარაჯეს ბნ რ. შამასას, რომელიც, იმედას, ამ სასამოკნო და სასარგებლო საქმეს მალე განხორციელებს.—ამ კეთილ და საზოგადო საქმის დასახმარებლად ჩვენს განვიზრახეთ სკლის მოწიროთ ფუფუნს მოკრება ტყაბულში და, ვისაც-კი ესთხოვეთ, ყუქამ საამოკნობათ შემოსწიროს შეძლებას და გააჩად, რისთვისაც ყუქანნი დადის მადლობის ღირსნი არიან. შეგროვებოდა ფული შესდგა 35 მან. 55 კპ., რომელიც უკვე გადაგვავით ბნ რ. შამასას.

დადა თქმა უნდა, ახალს მომავალი უფასო წიგნთ-საგებოთსა დადს სამსახურს გაუწყვას და დიდ სარგებლობას მოუტანს იქ-ურ საზოგადოებას, და განსაკუთრებოთ-კი ახალს კაცებს.—ეს უგანდასკლებო, როგორც „ივერიაში“ არა ერთხელ და არა ორხელ იყო მოსწონებულად, თუქმე თავისუფალ დროს ხან-ქოს თამაშობას და ბუჩუბის თელში ატარებდნენ. ამას შემდეგ პატივცემული გატრება, იმედას თავისუფალ დროს წიგნთ-საკითხის მიმართავენ და იქ სასარგებლო წიგნების და გასეოების კითხვით ბუერ ცნანს შეიძენ და დროსაც სასამოკნოდა გაატარებენ. ამ სიკეთის ნაცვლად ისინაც უთუფად დაფასებენ წიგნთ-საკითხის მიერ გაწეულ სამსახურს და მის დღეგრძელობისათვის იზრუნებენ.

ამასთან კითხვით შემომწიროვლათ სია დაქვედით თქვენს გაზეთში.

გლასბედ ბუქაბისამ—1 მან., გლასბედ თოქმაცოკის ასულმა—1 მან., მისიელ სადარბუჯიშვილმა—3 მან., ვასილა მასხვლამ—5 მან., ივანე ავანტამოშმა—2 მან., ივანე ავანტამოშმა—2 მან., ივანე ავანტამოშმა—2 მან., ივანე ავანტამოშმა—1 მან., სტეფანე ტყეშელაშვილმა—1 მან., ალექსანდრე დეკუნეშვილმა—1 მან., გამრეკელოვმა—1 მ., დამიტრი ბუქაბი—1 მან., ზაქლე კარაჩეკისკოვალანმა—1 მან., სიმონ ჭავჭავაძე—1 მან., ევბოკმა—1 მან., მასიელ ონიგავამ—1 მან., ალექსანდრე ასლანოვმა—1 მან., ზეტრე ვასიქამ—50 კ., გიორგი წერეთელმა—1 მან., დამიტრი სკუამ 1 მან., „წახნივი“ 2 მან., ანტონ სლანანოვმა—1 მან., ლუკასა ცხანდაქამ—1 მან., ისაკ ანდრთიკოვიკი—50

კ. გრაგოლ კანკაჭკაჭი—50 კ., ან-ტონ სტეფანეს ძემ—25 კ., დ. სეჩინა-შვილმა—30 კაპ., გრაგოლ კეძელა-რამ—1 მან., ზ. კაზირამ—50 კაპ., წიგნები შემოსწირეს: სოფთა ჩხეიმი-სამ ერთი კეჭკეჭი, „ჩანგა“ და ერთი კეჭკეჭი. „ზღაპრები“. ანოლან წყუაქემ—ათხი ცალი რუსულა წიგნი: „Графъ Монте кристо“, „Семейная вражда“, „Местъ жидовки“ и Дорогой гость“.

ვ. მასხულია

1892 წ. 16 ნოემბერი

ს. ტყეშელა.

დეკემბა

26 ნოემბერი

ავტარბურღი. გამოცხადებულია სახელმწიფო საბჭოს გარდაწყვეტი-ლება: დაწესებულ იქნას აქციონი რუსეთში გაკეთებულ, აგრედ წოდებულ შედესის სპიჩახედ 1/4 კაპ. იმ კოლოფზედ, რომელშიაც იქნება არა უმეტეს 75 სპიჩისა, 1/2 კ. იმ კოლოფზედ, რომელშიაც იქნება 75—150 სპიჩისა, 3/4 კაპიეკი—150—225 სპიჩისა და 1 კაპ. 225—300-ზე. სახლვარ - გარეთიდან შემოტანილ სპიჩახედ აქციონი იქნება ერთი-ორად მომატებული; სხვა ყოველ გვარ რუ-სეთში გაკეთებულ სპიჩახედაც—ერ-თი-ორად მეტი. უცხო ქვეყნიდან მოტანილ ზედა — ერთი-ორხად მეტი. ბენგალის სპიჩების გაკეთება სრუ-ლიად აიკრძალოს. სპიჩის გამყი-დავებს მიეცეთ ახლის აქციონის შემოღებიდან ერთის თვის ვადა, ძველ ბანდროლიან სპიჩების გასყი-ღვისა.

სტამბოლი. გუშინ სასახლეში გამართა დიდი ბანკეტი რუსეთის ელჩის პატივ-საცემლად; ბანკეტს და-ესწრნენ: ბ-ნი ნელიდოვი მუღლითა და ვაჟი-შვილითურთ, უფროსი დრა-გომანი და უფროსი მდივანი საელ-ჩოსი, დიდი ვეზირი, მინისტრები, გენერლობა და სასახლის-დიდაკო-ბა. ხონთქარმა სტუმრები მეტად თავზინანად მიიღო და ელჩის მხლე-ბელთ ორდენები უბოძა.

ბომბეი. ინდის ხეობაში მშვი-დობიანობა; ნიზამ-ულ-მულკი თავის ჯარებით მუსტაფის მთაზედ ბა-ნაკლებად; შერეფ-ზულ-ხანმა შეატყო-ბინა, მოვრიგდეთ და ჩვენის მამუ-ლის მართვა გაეყოთო; ჯერ არავინ იცის, დასთანხმდება ამ ზედ ნიზამ-ულ-მულკი, თუ არა.

ავტარბურღი. დღეს გიმოვიდა სანიმუშო ნომერი საეპრო სამრე-წველო გაზეთისა, რომელსაც ფი-ნანსთა სამინისტრო 1 იანვრიდან გამოსცემს.

მადრიდი. კონსერვატულმა კაბი-ნეტმა კონოვასისამ დათხოვნის ქა-ღალდი წარადგინა. ახალ კაბინეტის შედგენა სოგასტეს ჩაბარეს.

ვეტერბურგის ბირჟა, 24 ნოემბ.

| საგანი | ბირჟა | ბირჟა | ბირჟა |
|--|---------|---------|---------|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-შაბათობითი ოქრო | 8,08 | 8,11 | — |
| სამონეტის კუპონები | 161 1/2 | 162 | — |
| ბანკოთიანი ვერცხლის ფული | 1,08 | 1,10 | — |
| 50/0 პირველის შინა-განის სესხის მომგები ბილეთი | — | — | 241 1/4 |
| — შიორისა | 221 | — | — |
| სახელმწიფო თავდად-ზ-ნაურობის ბანკის მომ-გები ფურცელი | — | — | 193 |
| გირანობის ფურცელი ტვილისის ბანკისა: | | | |
| 60/0 | 102 | — | — |
| 50/0 | 100 | — | — |
| ქუთაისის ბანკისა 60/0 | 102 | — | — |
| 50/0 | 100 | — | — |
| 50/0 ობლიგაც. ტვი-ლისის ქალაქის საკრუ-დიტო საზოგადოებისა | 98 1/2 | — | — |

ივერიის ფოსტა.

დ. ხ — ბ. ზ — ძეხ. თქვენს ლექსს ვერც დაებუდავთ და ვერც „გამოცემთ“ სამაგიეროდ, მან სიამოვნებით განისვენა წი-ალსა შინა რედაქციის კალათისასა.

ძ. ხ — ს. ს. — ს. თქვენმა ლექსმაც ზემოთ ხსენებულს ლექსს წაპაპა და დავე-ტოვა მწარედ მგლოვიარენი.

ძ. ძ — ს. „დიდი გონებითის დარბაზის შენების დროს“, როგორც თქვენ ბრძანებთ, ალიზი არ გამოდგება და ამიტომ ისევე ისა სჯობს, რომ მის ზიდვას თავი დაანებოთ. მო-კლედ მოგსურით: თქვენს ორს ლექსს ვერ დაებუდავთ.

გამოსაღები ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

რამინის ზვის მისომხლა

ტფილისიდან ბათუმს მიღის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.
 ბათუმიდან ტფილისს მიღის. . . 9 ს. 52 წ. საღ.
 „ 12 ს. 25 წ. შუად.
 ტფილისიდან ბაქოს მიღის 1 ს. 25 წ. შუად.
 ბაქოდან ტფილისს მიღის „ . . . 5 ს. 50 წ. საღ.
ტფილისსა და განჯას შუა.
 ტფილისიდან განჯას მიღის . . . 9 ს. 20 წ. საღ.
 განჯიდან ტფილისს მიღის „ . . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდან გადის:

ხუთ შაბათობით: დღისით 4 საათზე, მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნეთსად-გურში. სამ შაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსისკით.

ბათუმიში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვორო-სისკისა და სოხუმით.
 ოთხ შაბათობით: დღისით სწორე გზით კერჩხა და ნოვოროსისკით.
 პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნეთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდან კვირა დღისით, განთიადისას.
 პარასკეობით: საფოსტო და სახალ-ხო ოდესიდან დღისით.
 სამ შაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდან.
 ხუთ შაბათობით: სახალხო და სა-ქონლისა ბათუმიდან, დღისით.

ფოთიდან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევს ორ სა-ათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნეთსადგურში შეივლის, დღის 5 საათზე.

ხუთ შაბათობით: საფოსტო და სა-ხალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში. სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამ შა-ბათობით, დღის 10 საათზე.
 სახალხო და საქონლისა ხუთ შაბათობით, ოდესაში და ყველა ნეთ-სადგურში შეი-ვლის.
 საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლო-დაც.

ბ ი ს რ ი

1892 წ. 18 ენკენისთვიდან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 ვირ. „ კ.
 წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
 „ „ 2 „ „ „
 თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
 „ „ 2 „ „ „
 „ „ 3 „ „ „
 ჯვარის მამის პურის ლავაში.
 1-ის ხარ. პურ. ლავაში. 1 გ. კ.
 მე-2 „ „ „ „ „ „ „
 მე-3 „ „ „ „ „ „ „
 ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 6 „
 „ „ 2 „ „ „
 სუკი — — — 12 „
 ცხვრის ხორცი — — 7 „
 ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. გ. „
 მე-2 ხარ. ტყავიანად „

ბანსხალეზანი

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
 სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში № 14—16
 ავადმყოფებს მიიღებს:
 დღისით 8-დან 12 საათამდე.
 საღამოთი 4-დან 6 საათამდე.
კვირა-შაბათი დღეებში
 დღისით 8 საათიდან ნაშუადღევს
 2 საათამდე. (150—143)

„სიჭაპუკის კოლეჯი“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმთოთის ვინც დასწავლულელი და დაავადებულის ონანიზმითა და თავ-აშუებულის ცხოვრებით.

თხზ. დ. — რის ლორანისა.
 რუსულად გამოცემულია დ — რ გ — ღის მაერ.
 ფასი ერთი მანათი.
 ამ სასარგებლო წიგნში ბევრი სა-შუალებია დასწავლული ზემოხსე-ნებულ მანკის შედგენის ასაკილებლად და დასწავლულის დანისა და ღო-ნის დონეზედ დასაყენებლად.
 წიგნი ხება — დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.
 საწყობი იმყოფება ოტტო ასპერ-გერთან ლეიპციგს **Otto Asperger Leipzig** (საქსონისა). უცხო-ქვეყნული წიგნის გაგზავნის ფასი იხდინა.
 (36—17)

ს ო ლ ე რ ა
 მესტერული შაირები
 აგაკისა
 ისე ი ა ე კ ბ ა შ ა უ რ ა დ
 ტფილისსა, ქუთაისს და სხვაგა-ნაც, ყველგან, სადაც, ან ვისთანაც ქართული წიგნები იშოვება სასყიდ-ლიად.

საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება შირნახულისა სპეციალურად

აუწყებს ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა და სხ. პატრონთ, რომ, საზოგადოების წესდების § 30 ძალით, ამ საზოგადოებასთან არსებულ ცალკე განყოფილებასა საკუთრად კენსებისა, ბაღებისა და სხ. დასაყუდისათვის სურვილისა ან განყოფილების მოქმედება დიწყება მხოლოდ მაშინ, როცა ეს სურვილი დაზღვევის იქმნებიან იმდენი, რომ მათის დასაზღვევის მაშულებების საჭი-ლაური 500,000 მან. იქნება.

სურვილი თვისი უნდა გამოუცხადონ საზოგადოების სააგენტოს დი-ლის 9—12 საათამდე, ხოლო მერმისს პირველ იანვრიდან დღის 9—3 საათამდე. (აბას-აბათის მოედანი, მელოქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ, საკუთარი სახლი). იქვე შეიძლება მიიღოს მსურველმა შემდეგი წიგნები:

Страхованіе отъ градобитія.
 Краткій очеркъ развитія этой отрасли обезпеченія въ Герма-нii и Россii.

Сборникъ свѣдѣній для опредѣленія убытковъ, причиняемыхъ культурнымъ растеніямъ градобитіями и др. атмосферическими вліяніями, а также насѣкомыми и болѣзнями.

Составилъ В. А. Таргонскій
 სააგენტოს გამგედ. ქ. თუთაევი.

1893 წლის 1 იანვრიდან არსდება ტფილისში
„უნივერსალი საბანკო“
 დ. ქ. თუთაევისა
 აბას-აბათის მოედანზედ, მელოქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ, დილის 9—3 საათამდე.

საქმე სააგენტოსი:
 I რიგისა

დაზღვევა სიცოცხლისა უოველ იმ წესით, რა წესითაც-კი შესაძლოა.

დაზღვევა წესდებისა უმრავლესად და მომრავლეს ქონებისა.

დაზღვევა შირნახულისა და ვენახებისა სეტყვისაგან.

დასყიდვა 50/0-იან მომგებიანი ბილეთებისა I და II სესხისა და სახელმწიფო სათავად-ზანა-რო მომგებიან გირანობის ფურცელთა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით და ხელ-მოსაცემ პირობით.

დაზღვევა მომგებიან ბილეთებისა გაბათილებისაგან უზრუნველ-ყოფისათვის, თითო ბილეთისა 60 კაპიეკად.

II რიგისა

შედეგნა ხარჯთ-აღრიცხვითა და გემგნისა შენობითა ასაგებად. (სააგენ-ტოს ჰყავს საკუთარი ხურით-მომღვარი-არხნიცქმორი).

შესრულება ქალაქ გარეშე მცხოვრებთა ყველა საქმისა, რომელიც-კი შეეხება შირნახულისა და სხვა კერძო დაწესებულებათა, აგრეთვე კომერციისა და სხ.

სააგენტო ტვირთთაგანს სოფლისა და ქადაქის მამულების დაგირავებას ტვი-ლისის სათავად-ზანაურთა და სახელმწიფო ბანკში და აგრეთვე საკრედიტო საზოგა-დოებაში.

რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი
 (ძირის ფული 1.000,000 მან.)

ბეჭდებურები, ნევის პროსპექტი, 27

ისყიდება 50/0-იანი მომგებიანი ბილეთები I და II სესხისა და გი-რანობის ფურცელი სახელმწ. სააგენტო-მამულთა ბანკისა ფასის ნაწილ-ნა-წილ გადახდით.

ზეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი 10% იმისი, რაც ბილეთი ჰძირის ბირ-ჯაზედ (არა ნაკლებ 15 მან.). ყოველ თოქე-და-თოქე უნდა გადახდოს იქმნას იმდენი, რამდენსაც თვით მყიდველი ისურვებს (არა ნაკლებ 5 მან.)

კუჭონება სრული საკუთრება მყიდველსა. ზეის წარდგენას შე-დეგ მოგება შეადგენისა.

დაზღვევა ბილეთისა გაბათილებისაგან ჰძირის 60 კაპ.
 (20—15) აგენტი დ. ქ. თუთაევი

ა ს ლ ა დ კ ა მ ა რ თ უ ლ ი
წახსიონი და სასწავლებელი
 ა. გ. მირზაშვილისა
 იმყოფება გრიბოედოვსა და კრუზენშტინის ქუჩების კუთხეში, ბა-ღოვების სახლში. შევირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდან.
 (50—23)

დედა-მნა
 ანუ ანბანი და პირველი საკითხავა წიგნი, ახალი მეცბრე გამოცემა დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. წიგნის ტექსტი შეუცვლელად არის დარჩენილი, მხოლოდ თავში ჩართული აქვს სახატავი სურათე-ბი და ბოლოში ოთხი გვერდი საწერა დედანი მსხვილისა და შუათანა ხე-ლისა, ასე რომ ამ წიგნის ხმარების დროს მოსწავლეს ცალკე დედანი აღარ დასჭირდება. ფასი უწინდელია—ექვსი შაური. ვინც იყიდის 30 ცალს ერთბაშად ნაღდს ფულზედ, წიგნი დაეთმობა უყულოდ 25 კ. და ყლით 33 კ. შემდეგი გამოცემისათვის უკვე შეკვეთილია საწერა დედანი წვირი-ლის ხელისა და ნუსხურისა.
 10—9

რუსეთის საზოგადოება ცეცხლი-საგან დაზღვევისა
 კანტორა უმთავრესის სააგენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდზედ, ყაზარო-ვის სახლში.
 (30—20) ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ფ. ტარანოვი.